



ქართული ლიტერატურის ისტორია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი,

სპეციალობა: ფილოლოგია, სპეციალიზაცია: ქართული ლიტერატურის ისტორია

კრედიტების რაოდენობა - 120 ECTS კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: გიორგი ალიბეგაშვილი, ლევან ბებურიშვილი

საკონტაქტო პირი: გიორგი ალიბეგაშვილი, ტელ.: 599 98 83 14

ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს მაგისტრანტს მისცეს ქართული ლიტერატურის საფუძვლიანი და სისტემური ცოდნა, დაანახვოს ქართული სალიტერატურო პროცესის მთლიანობა და მისი პერიოდების - ძველი, ახალი, უახლესი - იმანენტური კავშირი; სწორედ ამიტომ სავალდებულო სასწავლო კურსები მოიცავს ქართულ ლიტერატურას დასაწყისიდან მიმდინარე პროცესის ჩათვლით, ხოლო არჩევითი სასწავლო კურსები მაგისტრანტს საშუალებას აძლევს კიდევ უფრო ღრმად შეისწავლოს ძველი, ახალი, ან უახლესი ქართული ლიტერატურა. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მაგისტრანტი სწავლობს ქართულ მწერლობას დასავლურ-აღმოსავლურ ლიტერატურათა კონტექსტში. პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს მაგისტრი სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობისათვის; მიმართოს მისი ინტერესი ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული კვლევებისადმი; შედეგი მიიღწევა არამხოლოდ ოპტიმალურად დაგეგმილი სასწავლო კურსებითა და მატერიალური რესურსებით, პირველ ყოვლისა, იმ აკადემიური პერსონალით, რომელიც ჩართულია პროგრამაში. პროგრამა შეფასებულია მაღალ დონეზე როგორც დარგის აღიარებული სპეცილისტების, ასევე პოტენციური დამსაქმებლების მიერ.

აკადემიური ხარისხის მისაღებად მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს 120 ECTS კრედიტი, აქედან 90 ECTS კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს (55 კრედიტი - ძირითად სასწავლო კურსებს; 35 კრედიტი - არჩევით სასწავლო კურსებს) ხოლო 30 ECTS კრედიტი - სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს სწავლა განაგრძოს შესაბამისი მიმართულების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე.

ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს იმუშაოს საჯარო და კერძო სკოლებში (მასწავლებლის პროფესიული მომზადების პროგრამის გავლის შემდეგ); შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, ბიბლიოთეკებსა და არქივებში, საგამომცემლო დაწესებულებებში, მასმედიის საშუალებებში.

1. მიზანი:

ქართული ლიტერატურის ისტორიის სამაგისტრო პროგრამისთვის პრიორიტეტულია ქართული ლიტერატურის ძეგლების, უშუალოდ ტექსტების, ღრმად შესწავლა და მრავალმხრივი ანალიზი. პროგრამის მიზანია მაგისტრანტს:

- მისცეს ქართული ლიტერატურის ისტორიის ღრმა და სისტემური ცოდნა; - შეამეცნებინოს ქართული სალიტერატურო პროცესის მთლიანობა და მისი პერიოდების (ძველი, ახალი, უახლესი) იმანენტური კავშირი; (სწორედ ამ პრინციპს ეყრდნობა პროგრამის სასწავლო გეგმაში მოცემული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების განაწილება).

- შეამეცნებინოს ლიტერატურა, როგორც ქართული მრავალსაუკუნოვანი კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ერის შინაარსისა და სულიერი დიალექტიკის მხატვრული ნარატივი, თავისი ისტორიული, სოციალური, კულტუროლოგიური და ესთეტიკური ასპექტებით; დაანახოს მისი ადგილი დასავლურ-აღმოსავლურ ლიტერატურათა კონტექსტში.

- გამოუმუშაოს მაგისტრანტებს მხატვრული ლიტერატურული ტექსტის პროფესიული კითხვისა და თეორიული კვლევის კულტურა; შეასწავლოს ქართული ლიტერატურის ჟანრობრივი სისტემა და

ლიტერატურული მიმდინარეობანი დასავლურ-აღმოსავლურ სალიტერატურო პროცესთან ტიპოლოგიური მიმართებებისა და ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით;

- განუვითაროს მათ ანალიტიკური აზროვნებისა და პროფესიული წერის (სამეცნიერო ნაშრომი, პუბლიცისტური სტატია, ესე) შესაძლებლობები, დაუხვეწოს ანალიზისა და დამოუკიდებელი კვლევის უნარ-ჩვევები;

- მოამზადოს მაგისტრები ქართული ლიტერატურის, ლიტერატურული კრიტიკისა და ზეპირსიტყვიერების სფეროებში სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობისათვის; მიმართოს მათი ინტერესი ინტერდისციპლინური და ინტერკულტურული კვლევებისადმი.

2. სწავლის შედეგები

საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია:

- I. ქართული კლასიკური ლიტერატურისა და თანამედროვე მწერლობის ძეგლებზე, ლიტერატურულ მიმდინარეობებისა და ჟანრებზე, ქართული ლიტერატურული პროცესის განვითარების ისტორიასა და ეტაპებზე მსჯელობა;
- II. მხატვრული სახის, როგორც ხელოვნების ფუნდამენტური კატეგორიისა და, ზოგადად, მხატვრულ-გამომსახველობითი სისტემებისა და მათი სიმბოლურ-სემანტიკური მნიშვნელობის დახასიათება ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე მეთოდოლოგიებზე დაყრდნობით;
- III. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის განვითარების ეტაპების, ამ ეტაპთა დამახასიათებელი მსოფლმხედველობრივი და პოეტიკური თავისებურებების, ეპოქის მხატვრული ტექსტების პრობლემატიკისა და სახისმეტყველების დახასიათება;
- IV. XIX საუკუნის ქართველ კლასიკოსთა შემოქმედების ძირითადი პრობლემატიკისა და მხატვრული აზროვნების თავისებურებათა გაანალიზება რომანტიზმისა და რეალიზმის პოეტიკის ჭრილში;
- V. ფოლკლორული შემოქმედებისა და ქართული მწერლობის ურთიერთმიმართების საკითხების შესახებ მსჯელობა;
- VI. XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის საკვანძო საკითხების განხილვა შესაბამისი ეპოქის ლიტერატურულ-თეორიული აზროვნებისა თუ ლიტერატურულ მიმდინარეობათა ესთეტიკის კონტექსტში.
- VII. ქართული ლიტერატურის ისტორიის სფეროში არსებული განსახვავებული სამეცნიერო თვალსაზრისების შეჯერება, სისტემატიზება, რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული აკადემიური დასკვნების გამოტანა;
- VIII. სხვათა კვლევების გათვალისწინებით თავისი კვლევის შედეგების წარდგენა აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; თემატურ დებატებში მონაწილეობა ქართულ და უცხოურ ენაზე პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით.
- IX. მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში გამოვლენილ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან შეფასება; ქართული ლიტერატურის ისტორიის სფეროში ახალი ღირებულებების დამკვიდრების პროცესში საკუთარი წვლილის შეტანა.

3. შეფასების სისტემა

სტუდენტი პროგრამის თითოეულ კომპონენტში ფასდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. ყოველი სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტი ასრულებს სილაბუსით გათვალისწინებულ დავალებებს, ამზადებს პრეზენტაციას, მონაწილეობს დისკუსიებში და ერთვება ყველა სხვა აქტივობაში, რაც აუცილებელია სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად.

100 ქულის განაწილება იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილზე. ამასთან, გამოკითხვის სახე, სტუდენტის მიერ მოსამზადებელი პრეზენტაციის და სხვა საკითხების შესახებ ინფორმაცია დეტალურად არის მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში.

100 ქულა					
შუალედური შეფასება - 60 ქულა			დასკვნითი შეფასება - 40 ქულა		
შეფასების კომპონენტები	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი	შეფასების კომპონენტი	ქულა	მინიმალური კომპეტენციის ზღვარი
ყოველკვირეული/სასემინარო შეფასებები	20	8	დასკვნითი წერითი გამოცდა	40	21
პრეზენტაცია	10	4			
შუალედური გამოცდა	30	8			

ყოველ სასწავლო კურსში დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების სახით მოპოვებული აქვს არანაკლებ 20 ქულა.

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, დაცვისა და შეფასების ინსტრუქციის შესაბამისად.

შეფასების სისტემა, პროგრამის ყოველი კომპონენტისათვის ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

შეფასების სისტემა, ასევე, ითვალისწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; დამატებითი გამოცდა ტარდება დასკვნითი შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F - 0 ქულა.

4. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებულ) აკადემიური ხარისხი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, განათლებისა და სოციალური მეცნიერებების, ასევე, მიმართულებათა შორისი დარგების მიმართულებით.

- **საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება;**

- **უცხო ენის** (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) **ცოდნა B2 დონეზე**. უცხო ენაში გამოცდისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს ენის დონის ფლობის საერთაშორისო სერთიფიკატს ან რომელსაც უცხოენოვან პროგრამაზე მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, რაც დასტურდება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დოკუმენტით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე, დაიშვებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე, შესაძლებელია, შიდა მობილობის წესით ჩარიცხვა. ვადები, პროცედურები და შესაბამისი, დამატებითი საკითხები განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის აქტით და შიდა მობილობის პროცედურების დაწყებამდე გონივრული ვადით ადრე ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე. დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, ასევე, შესაძლებელია, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე:

www.sangu.edu.ge.

- **გამოცდა სპეციალობაში.**

სპეციალობის კოეფიციენტი -70, უცხო ენის კოეფიციენტი -30.

თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტს, რომელსაც აქვს მაღალი სამეცნიერო აქტივობა (სამეცნიერო პუბლიკაცია, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა).

5. საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები

სწავლების შედეგების მისაღწევად გამოყენებული მეთოდები და აქტივობები შეესაბამება კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის განმახორციელებელი, აკადემიური თავისუფლების ფარგლებში, თავად განსაზღვრავს შესაბამისი სასწავლო კურსის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ მეთოდებს და აქტივობებს.